



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება №84/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის №2 მაჟორიტარულ ოლქში შექმნილ რიგ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და მათი ადგილმონაცვლის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76¹ მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 13 ნოემბრის 54/2020 დადგენილების საფუძველზე, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის №2 მაჟორიტარულ ოლქში შემავალ №02.02.10-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს თინათინ თოდრაძეს, №02.02.37-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ინა კორკოტაძეს, №02.02.76-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ფატი ბოლქვაძეს პირადი/სატელეფონო განცხადებების საფუძველზე შეუწყდეთ უფლებამოსილება ვადამდე.

მუხლი 2. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის №2 მაჟორიტარულ ოლქში შემავალ №02.02.10-ე, №02.02.37-ე, №02.02.76-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაკომპლექტების მიზნით შესარჩევი კონკურსი, №02.02.10-ე საარჩევნო უბანზე - ერთი ვაკანტური ადგილი, №02.02.37-ე საარჩევნო უბანზე - ერთი ვაკანტური ადგილი, №02.02.76-ე საარჩევნო უბანზე - ერთი ვაკანტური ადგილი.

მუხლი 3. კანდიდატმა №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) კანდიდატის სახელი, გვარი;
 - ბ) საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს წევრობა;
 - გ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონი ნომერი (თუ აქვს).
1. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მასში უნდა აღინიშნოს, რომ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 24-ე მუხლის 4¹ და მე-5 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი;
 - ბ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).
 2. განმცხადებელი საკონკურსო დოკუმენტაციას №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენს მატერიალური სახით პირადად (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32) ან №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (02_vake@cec.gov.ge).
 3. კანდიდატს უფლება აქვს, საკონკურსო დოკუმენტაცია შეიტანოს მხოლოდ ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე.
 4. კანდიდატს, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის განმავლობაში უფლება აქვს გამოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაცია ან შეცვალოს საკონკურსო ადგილი (საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება) შესაბამისი განცხადებით.
 5. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის, საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) დღე, 2020 წლის 17 ნოემბრის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

